# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური  წერეთლის ქ. №2

☎ 890 20-33-05
877 47-43-34


## საკრებულოს თავმჯდომარის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №136

27 მაისი 2013 წ.

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის "კურორტი ბახმაროსათვის" (ს/კ - 441993648) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის №32 დადგენილებით დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესის" მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. გადაეცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტი ბახმაროს" (ს/კ - 441993648) სარგებლობის უფლებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტ ბახმაროში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობა (ღირებულებით - 45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარი) მასზე დამაგრებულ 1200 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან ერთად (მიწის ღირებულება - 43 200 (ორმოცდასამი ათას ორასი) ლარი) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.24.22.214).
2. სარგებლობის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვროს გადაცემული ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტი ბახმაროს" (ს/კ - 441993648) წესდებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის გამოყენება და მისი მოვლა-პატრონობა.

3. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემა განხორციელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით.
4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს უზუფრუქტუარის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირად არსებობის პერიოდით.
5. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას (თამაზ ჯინჭარაძე) მხარეებს შორის გასაფორმებელი უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის მომზადება.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართი: ჭავჭავაძის ქ. №4.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საფუძველი:** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის „კურორტი ბახმაროს“ (ს/კ - 441993648) 2013 წლის 16 მაისის №2 წერილი.

*საკრებულოს თავმჯდომარე*

*ანტონ ხუნდაძე*

*ვიზირებულია,*

*იურისტი* *ედიშერ ჯიბუტი*